

ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის
N121 ოთახზე, მოქალაქე ირმა ჯიშკარიანისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ იქნა ხარეზავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N121 ოთახში მცხოვრები მოქალაქე ირმა ჯიშკარიანის განცხადება /2012 წლის 05.10 Nჯ-8482/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N121 ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N121 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ირმა ჯიშკარიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ხარეზავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N121 ოთახზე /საერთო ფართობი 12,76 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 12,76 კვ.მ, საერთო სარგებლობის ღერეფანი ფართობით 22,30 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 16,86 კვ.მ./ მოქალაქე ირმა ჯიშკარიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კაჭკაჭიშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე